ხელშეკრულება N113

ქ.ყვარელი 09.08.2018 წელი

ყვარლის მუნიციპალიტეტის მერია შემდგომში „შემსყიდველი" წარმოდგენილი მუნიციპალიტეტის მერის როსტომ სესიაშვილის სახით ერთის მხრივ და მეორეს მხრივ „მიმწოდებელი" ფიზიკური პირი ბექა სურამლიშვილი წინამდებარე ხელშეკრულების საფუძველზე თანხმდებიან შემდეგზე.

1.ხელშეკრულების საგანი

ყვარლის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ ტექნოპარკში დაგეგმილ საინფორმაციო ტურში მონაწილე ბავშვთა ტრანსპორტირების მომსახურების შესყიდვა (CPV60100000).

2.საქონლის მიწოდების წესი და ღირებულება

2.1. მიმწოდებელი მომსახურებას გაწევს 2018 წლის 9 აგვისტოს შემსყიდველის მოთხოვნის შესაბამისად.
2.2.ხელშეკრულების ღირებულება შეადგენს 187.50 (ას ოთხმოცდაშვიდი ლარი და ორმოცდაათი
თეთრი) ლარს, ზემოთაღნიშნული თანხიდან საშემოსავლო გადასახადი შეადგენს 37,50 (ოცდაჩვიდმეტი ლარი და ორმოცდაათი თეთრი) ლარს რომელსაც იხდის შემსყიდველი, ხოლო 150 (ას ორმოცდაათი) ლარს შემსყიდველი ურიცხავს მიმწოდებელს ხელშეკრულებით განსაზღვრულ საბანკო რეკვიზიტებზე.

3.ანგარიშსწორება მხარეთა შორის

3.1.ანგარიშსწორება მხარეთა შორის ხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორებით გაწეული მომსახურების შესაბამისი მიღება-ჩაბარების აქტის წარმოდგენიდან 10 (ათი) დღის ვადაში.

4.მხარეთა ვალდებულებები

4.1.მიმწოდებელი კისრულობს ვალდებულებას
4.1.1. მუნიციპალიტეტის მერიას გაუწიოს ზემოთაღნიშნული მომსახურება ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადაში.
4.2.შემსყიდველი კისრულობს ვალდებულებას აუნაზღაუროს მიმწოდებელს გაწეული მომსახურების ღირებულება მიღება-ჩაბარების აქტის წარმოდგენიდან 10 (ათი) დღის ვადაში.
4.3.გაწეულ მომსახურებაზე მიმწოდებლის ბრალეულობით გამოწვეული დეფექტის აღმოჩენის შემთხვევაში მიმწოდებელმა დაუყოვნებლის უნდა აღმოფხვრას დეფექტი.

5. დავათაგანხილვის წესი

5.1.მხარეები შეეცდებიან ურთიერთმოლაპარაკების საფუძველზე გადაჭრან დავები. იმ შემთხვევაში თუ ისინი ვერ გადაჭრიან დავას, იგი განიხილება სასამართლოს მიერ.

6. მხარეთა პასუხისმგებლობა ხელშეკრულების დარღვევისას

6.1. მხარეების მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობა გამოიწვევს პასუხისმგებლობას მოქმედი კანონმდებლობის შესაამისად.
6.2.ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულების ვადის გადაცილების შემთხვევაში, მხარეებს დაეკისრებათ პირგასამტეხლო ყოველი ვადაგადაცილებული დღისათვის ხელშეკრულების ღირებულების 0.02%-ის ოდენობით;
6.3.იმ შემთხვევაში თუ დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 0.06%-ს ,,შემსყიდველი'' იტოვებს უფლებას შეწყვიტოს ხელშეკრულება და მოთხოვოს ,,მიმწოდებელს'' ხელშეკრულების შეწყვეტის მომენტისათვის გადასახდელი პირგასამტეხლოს ანაზღაურება;

6.4. პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მხარეს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან;

7. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვის შესაძლებლობა

7.1.არავითარი გადახრა ან ცვლილება ხელშეკრულების პირობებში არ დაიშვება ორივე მხარის მიერ ხელმოწერილი წერილობითი შესწორებების გარდა.
7.2.თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზის გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია
7.3.წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებებისშედეგად უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველი ორგანიზაციისათვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლის გათვალისწინებული შემთხვევებისა.ხელშეკრლების პირობების გადასინჯვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.
7.4 საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლის გათვალისწინებული პირობების დადგომს შემთხვევაში, დაუშვებელია სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 10% მეტი ოდენობის გაზრდა.
7.5 ხელშეკრულებაში პირობების ცვლილება ფორმდება დანართის სახით და წარმოადგენს ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.

8. ფორს-მაჟორი

8.1. ხელშეკრულების დამდები რომელიმე მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა არ გამოიწვევს მის პასუხისმგებლობას, თუ ხელშეკრულების შესრულების შეფერხება ან მისი ვალდებულებები შეუსრულებლობა არის ფორს-მაჟორი გარემოებების შედეგი.
8.2.ფორს-მაჟორი ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათ კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული ,,შემსყიდველისა" ან,,მიმწოდებლის" შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნიათ წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნას ომით, სტიქიური მოვლენებით, კარანტინით, საბიუჯეტო ასიგნების მკვეთრი შემცირებით და სხვა.
8.3.ფორს-მაჟორი გარეომოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყონებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინებაასეთი გარემოებებისა და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან წერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობების მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულებას და ცდილობს გამონახოს შესრულების ისეთი ალტერნატიურლი ხერხები, რომლების დამოუკიდებელი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან.

9. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

9.1. ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში წამოჭრილი ყველა დავა გადაიჭრება ურთიერთშეთანხმების გზით. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, დავის გადასაწყვეტად მხარეები უფლებამოსილნი არიან მიმართონ სასამართლოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად;

10. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

10.1.ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა ხელმოწერისთანავე და მოქმედების ვადა 30 (ოცდაათი) დღით აღემატება ხელშეკრულების შესრულების ვადას.

11. მხარეთა რეკვიზიტები

შემსყიდველი ყვარლის მუნიციპალიტეტის მერია მისამართი: კუდიგორის ქ. N1 ს/კ 241578574	მიმწოდებელი ფ. პ. ბექა სურამლიშვილი პ/ნ 45001032786 საბანკო რეკვიზიტები: BAGAGE22 ს.ს. "საქართველოს ბანკი" ა. ნ. GE04BG0000000857009900

ყვარლის მუნიციპალიტეტის მერი

ფ. პ.

რ. სესიაშვილი

ბ. სურამლიშვილი

მიღება-ჩაბარების აქტი N113

ქ. ყვარელი 09.08.2018 წელი

ერთის მხრივ შემსყიდველი ყვარლის მუნიციპალიტეტის მერია, წარმოდგენილი მუნიციპალიტეტის მერის როსტომ სესიაშვილის სახით და მეორეს მხრივ მიმწოდებელი ფიზიკური პირი ბექა სურამლიშვილი ვადგენთ აქტს მასზედ, რომ ჩაბარებულია დაკვეთილი მომსახურების გაწევა სახელმწიფო შესყიდვების შესახებ N113 ხელშეკრულების მოთხოვნის შესაბამისად, კერძოდ, ყვარლის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ ტექნოპარკში დაგეგმილ საინფორმაციო ტურში მონაწილე ბავშვთა ტრანსპორტით მომსახურება.

ფაქტიურად შესრულებული მომსახურების ღირებულება შეადგენს 150 (ას ორმოცდაათი) ლარს.

აქტის სინამდვილეს ვადასტურებთ:

ყვარლის მუნიციპალიტეტის მერი ფ. პ.

/რ. სესიაშვილი/ /ბ. სურამლიშვილი/